ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის

სამსახურის უფროსის

ბრძანება №ნ-5

2022 წლის 18 მაისი

ქ. თბილისი

„ანგარიშგების ვებგვერდზე მომხმარებელთა რეგისტრაციის, სუბიექტების მიერ ანგარიშგების წარდგენისა და წარდგენილი ინფორმაციის გასაჯაროების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2019 წლის 21 მაისის №ნ-6 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„ანგარიშგების ვებგვერდზე მომხმარებელთა რეგისტრაციის, სუბიექტების მიერ ანგარიშგების წარდგენისა და წარდგენილი ინფორმაციის გასაჯაროების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2019 წლის 21 მაისის №ნ-6 ბრძანებით (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), გამოქვეყნების თარიღი: 22/05/2019, სარეგისტრაციო კოდი: 350080000.64.076.016059) დამტკიცებულ „ანგარიშგების ვებგვერდზე მომხმარებელთა რეგისტრაციის, სუბიექტების მიერ ანგარიშგების წარდგენისა და წარდგენილი ინფორმაციის გასაჯაროების წესში“ შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-12 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 12^1 მუხლი:

„მუხლი 12^1. სააღრიცხვო საქმიანობების გამწევი პირის შესახებ ინფორმაცია

1. სააღრიცხვო საქმიანობების გამწევი პირის შესახებ ინფორმაციის ჩანართში, სააღრიცხვო საქმიანობების სფეროში მოქმედმა სუბიექტმა უნდა მიუთითოს დასაქმებული სააღრიცხვო საქმიანობის მომსახურების მიწოდების გამწევი პირ(ებ)ის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ელექტრონული ფოსტა, ფაქტობრივი მისამართი და საქმიანობის მიმართულება (აუდიტი, ბუღალტერია, საგადასახადო კონსულტაცია).

2. ამ მუხლის მიზნებისთვის სააღრიცხვო საქმიანობა განიმარტება „საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის „ეკონომიკური საქმიანობის სახეების“ დამტკიცების შესახებ“ სსიპ „საქსტატის“ საბჭოს 2016 წლის 28 ივლისის №10 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი „ეკონომიკური საქმიანობის სახეების“ შესაბამისად.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2022 წლის 1 ივლისიდან.

ბუღალტრული აღრიცხვის,
ანგარიშგებისა და აუდიტის
ზედამხედველობის სამსახურის
უფროსის მოვალეობის
შემსრულებელი — ნათელა გლოველი